

მექატრონიკა	
პროგრამის ტიპი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	
დონე: მეხუთე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში / Higher Vocational Qualification in Mechatronics	
პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება	
პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები მექატრონიკაში თანამედროვე საწარმოების მექატრონული სისტემებისა და მანქანა-დანადგარების დაგეგმვის, ინსტალაციის, პროგრამირების, ტესტირების, ექსპლუატაციაში გაშვების, მიმდინარე მომსახურების, შეცდომების აღმოჩენისა და მართვის უზრუნველყოფისთვის.	
პროგრამის სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია: • მართოს სამრეწველო IT სისტემები; • დააპროგრამოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერები; • დაამზადოს დეტალები; • გააანალიზოს, შეცვალოს/გააფართოვოს მექატრონულ სისტემებში არსებული პროგრამები; • მოახდინოს მექატრონული მოწყობილობების პროგრამების ტესტირება და ცვლილების დოკუმენტირება; • მოახდინოს მექატრონული სისტემების აწყობა; • დაამზადოს მექატრონული სისტემების ნაწილები; • ააწყოს კვანძები, ქვეკვანძები, მოწყობილობები და მექატრონული სისტემები; • დაამონტაჟოს ელექტრომოწყობილობები; • შეასრულოს დანადგარების ქვეკვანძების და მექატრონული სისტემების ტესტირება, გაშვება, დანადგარებისა და მექატრონული სისტემების მომხმარებლისთვის გადაცემა; • გაიანგარიშოს მექატრონიკის მუშა პროცესი; • შეადგინოს ტექნიკური დოკუმენტაცია; • დაადგინოს მექატრონიკის ტექნიკურ სისტემებში უწყესივრობები და მათი გამომწვევი მიზეზები; • შეასრულოს მანქანა დანადგარების ნაწილების დემონტაჟი შეკეთებისათვის, დეტალების შემოწმება დეფექტებზე, ძრავების დანადგარების და მექატრონული აღჭურვილობის დიაგნოსტიკური მომსახურება/რემონტი;	
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 120 კრედიტს	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 150 კრედიტს
სწავლის ხანგრძლივობა	

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 20 თვეს		არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 26 თვეს	
კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პირი შეიძლება დასაქმდეს მექატრონიკის ტექნიკოსად ყველა დარგში და ინდუსტრიაში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მექატრონული სისტემებით. ასევე, გააჩნია თვითდასაქმების შესაძლებლობა.			
პროგრამის სტრუქტურა და მოდულები: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკა მოიცავს 4 საერთო პროფესიულ მოდულს 14 კრედიტის მოცულობით, 4 ზოგად მოდულს 11 კრედიტის მოცულობით, 15 პროფესიულ მოდულს 95 კრედიტის მოცულობით და ქართული ენის მოდულ(ებ)ს 30 კრედიტის მოცულობით. მოდულ (ებ)ის: „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.			
№	მოდულის დასახელება		კრედიტი
1	ქართული ენა A2		15
2	ქართული ენა B1		15
	ჯამი:		30
№	საერთო პროფესიული მოდულები		კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა ელექტრობაში		2
2	საინჟინრო ხაზვა		4
3	ელექტრული და ელექტრონული პრინციპები		4
4	კომუნიკაცია ელექტრობის სფეროში		4
	ჯამი:		14
№	ზოგადი მოდულები		კრედიტი
5	უცხოური ენა		5
6	მეწარმეობა 2		2
7	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
8	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები		1

	ჯამი	11
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
9	შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვა ელექტროტექნიკური სამუშაოებისას	3
10	მათემატიკა ელექტრიკოსებისთვის	4
11	ელექტრომზომი ხელსაწყოების გამოყენება	2
12	მასალათმცოდნეობის საფუძვლები ელექტროობაში	3
13	ჩარხებზე დეტალების დამზადების ტექნოლოგიის საფუძვლები	9
14	ჰიდრავლიკის და პნევმატიკის საფუძვლები	3
15	სენსორები და ტექნიკური გაზომვები	2
16	სამრეწველო IT სისტემების მართვა	3
17	პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება	10
18	მექატრონული სისტემების პროგრამების მართვა	7
19	მექატრონული სისტემების აწყობა	14
20	მექატრონული სისტემების გაწყობა	6
21	მექატრონიკის ტექნიკოსის სამუშაო პროცესის ორგანიზება	3
22	მექატრონული სისტემების მომსახურება/რემონტი	13
23	მექატრონიკის ტექნიკოსის პრაქტიკული პროექტი	13
	ჯამი:	95
სწავლის შედეგების შეფასების სისტემა: გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი; პრაქტიკული დავალება დაკვირვებით; პრაქტიკული დავალება		
პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი ნოე რამიშვილის ქ. №12; სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი		

პრაქტიკის კომპონენტი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მექატრონიკა“ მოდულის „მექატრონიკის ტექნიკოსის პრაქტიკული პროექტი“ (13 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტები გადიან საწარმო პრაქტიკას შემდეგ ობიექტებში:

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №12 – სტუ-ს სამეცნიერო-სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“;

ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. №1 – შპს „ნოვატორი–ტექნოლოგიური სისტემები“.

პრაქტიკის მსვლელობისას თითოეულ ობიექტში განსაზღვრულია მენტორი, რომლის პასუხისმგებლობაა:

სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზება და მხარდაჭერა;

საწარმოო გარემოში სამუშაო პროცესების გაცნობა;

უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობა;

პროფესიული ამოცანების შესრულების პროცესში სტუდენტისთვის კონსულტაციის გაწევა;

პრაქტიკის მსვლელობის მონიტორინგი და შეფასების პროცესში მონაწილეობის მიღება.

პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული კომპონენტი ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების განვითარებას და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას, რაც უზრუნველყოფს მათ უკეთეს მზადყოფნას მომავალ პროფესიულ საქმიანობაში.

სტუდენტი პრაქტიკის ფარგლებში ასრულებს მექატრონიკის ტექნიკოსის პროფესიულ ამოცანებს დამოუკიდებლად. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, იგი ვალდებულია წარმოადგინოს საბოლოო ანგარიშგება პროგრამით განსაზღვრული შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისად, კონკრეტული ინსტრუქციებისა და ფორმატების დაცვით. ანგარიშგება მოიცავს შესრულებული ამოცანების აღწერას და წარმოდგენილი იქნება მატერიალურ (დოკუმენტურ) სახით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების შერჩევა წარმართება პრაქტიკული მოსინჯვის გზით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის არსებობს სხვადასხვა ტიპის რესურსი.

საგანმანათლებლო მხარდაჭერა დამოკიდებულია პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე და შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- სასწავლო პროცესისა და რესურსის მორგება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მხარდაჭერა;
- სასწავლო პროცესის ასისტენტის მხარდაჭერა;
- ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- სხვა საჭირო რესურსისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ინკლუზიური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგ-შეხვედრები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- მშობელთა ფსიქო-განათლება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ღონისძიებ(ებ)ის მოწყობა;

- ინფორმაციული ბუკლეტებისა და ბროშურების შექმნა;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია და ა.შ.

საკონტაქტო პირი

ხათუნი ამყოლაძე

593 26 31 27

k.amkoladze@gtu.ge

პროგრამაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირ(ებ)ი

მაია ფრიდონიშვილი

pridonishvili.m@gtu.ge

557278970

ლელა გერგეშელიძე

l.gergeshelidze@gtu.ge

599270682